საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს ადგილობრივი ექსპორტი

2021

იანვარი-მაისი

(წინასწარი შედეგები)

21.06.2021

www.geostat.ge

21.06.2021

ადგილობრივი ექსპორტი
(ექსპორტი რეექსპორტის გარეშე)
2021 წ. იანვარი-მაისი

2021 წლის იანვარ-მაისში საქართველოდან განხორციელებული საქონლის ექსპორტის მოცულობამ (არადეკლარირებული ექსპორტის გარეშე) 1 538.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 24.4 პროცენტით მეტია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. ექსპორტი რეექსპორტის გარეშე (ადგილობრივი ექსპორტი), მთლიანი ექსპორტის 73.1 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 26.6 პროცენტით გაიზარდა და 1 123.7 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს შესაბამისი მაჩვენებლების განვითარების ტენდენციას 2016-2021 წლებში:

ექსპორტის ტენდენციები საქართველოში 2016-2021 წწ. იანვარ-მაისში
(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

21.06.2021

საქართველოდან განხორციელებული ექსპორტი 2016-2021 წწ. იანვარ-მაისში

(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

**პროცენტით მოცემულია ადგილობრივი ექსპორტის (ექსპორტი რეექსპორტის გარეშე) წილი მთლიან ექსპორტში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საქართველოდან 2019-2021 წლებში განხორციელებული ადგილობრივი ექსპორტის მონაცემები თვეების მიხედვით:

საქართველოდან განხორციელებული ადგილობრივი ექსპორტი

		მლნ. აშშ დოლარი	ცვლილება (%)
2019	იანვარი	157.5	-3.1
	თებერვალი	180.6	11.9
	მარტი	208.8	-0.3
	აპრილი	184.3	20.6
	მაისი	197.1	-8.2
	ივნისი	182.8	-16.0
	ივლისი	187.1	6.7
	აგვისტო	181.3	6.8
	სექტემბერი	193.6	-4.8
	ოქტომბერი	195.7	3.8
	ნოემბერი	218.8	29.9
	დეკემბერი	237.0	17.0

21.06.2021

		მლნ. აშშ დოლარი	ცვლილება (%)
2020*	იანვარი	177.8	12.9
	თებერვალი	164.3	-9.1
	მარტი	192.1	-8.0
	აპრილი	172.7	-6.3
	მაისი	180.8	-8.3
	ივნისი	191.3	4.6
	ივლისი	192.1	2.7
	აგვისტო	203.4	12.2
	სექტემბერი	245.2	26.7
	ოქტომბერი	237.1	21.2
	ნოემბერი	225.7	3.2
	დეკემბერი	224.4	-5.3
2021*	იანვარი	166.4	-6.4
	თებერვალი	202.6	23.4
	მარტი	237.9	23.8
	აპრილი	277.3	60.6
	მაისი	239.5	32.5

*წინასწარი მონაცემები.

21.06.2021

2021 წლის იანვარ-მაისში ათი უმსხვილესი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ადგილობრივ ექსპორტში 79.7 პროცენტი შეადგინა. ამ მხრივ, უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორებია: ჩინეთი (250.0 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (185.8 მლნ. აშშ დოლარი) და თურქეთი (125.9 მლნ. აშშ დოლარი).

უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნები ადგილობრივ ექსპორტში

ქვეყნის დასახელება	2020* წ. იანვარი-მაისი		2021* წ. იანვარი-მაისი		ცვლილება (%)
	მლნ. აშშ დოლარი	წილი (%)	მლნ. აშშ დოლარი	წილი (%)	
სულ	**887.7**	**100.0**	**1 123.7**	**100.0**	**26.6**
მათ შორის:					
ჩინეთი	156.5	17.6	250.0	22.3	59.8
რუსეთი	141.9	16.0	185.8	16.5	30.9
თურქეთი	75.2	8.5	125.9	11.2	67.5
ბულგარეთი	136.6	15.4	95.1	8.5	-30.4
უკრაინა	42.5	4.8	61.5	5.5	44.6
აშშ	34.7	3.9	50.2	4.5	44.8
სომხეთი	28.5	3.2	41.5	3.7	45.5
აზერბაიჯანი	26.4	3.0	32.9	2.9	24.6
შვეიცარია	35.8	4.0	27.8	2.5	-22.3
ლიეტუვა (ლიტვა)	12.2	1.4	24.6	2.2	102.2
დანარჩენი ქვეყნები	197.5	22.2	228.4	20.3	15.6

*წინასწარი მონაცემები.

2021 წლის იანვარ-მაისში ადგილობრივი ექსპორტის ათეულში პირველ ადგილზე სპილენძის მადნები და კონცენტრატები არის წარმოდგენილი 327.2 მლნ. აშშ დოლარით, აღნიშნული სასაქონლო ჯგუფის წილი მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 29.1 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილზეა ფეროშენადნობები 144.3 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 12.8 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილს იკავებს ყურძნის ნატურალური ღვინოები 85.0 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 7.6 პროცენტი).

უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო პოზიციები ადგილობრივ ექსპორტში

საქონლის დასახელება	2020* წ. იანვარი-მაისი		2021* წ. იანვარი-მაისი		ცვლილება (%)
	მლნ. აშშ დოლარი	წილი (%)	მლნ. აშშ დოლარი	წილი (%)	
სულ	**887.7**	**100.0**	**1 123.7**	**100.0**	**26.6**
მათ შორის:					
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	258.4	29.1	327.2	29.1	26.7
ფეროშენადნობები	108.8	12.3	144.3	12.8	32.6
ყურძნის ნატურალური ღვინოები	73.0	8.2	85.0	7.6	16.5
მინერალური და მტკნარი წყლები	42.8	4.8	52.8	4.7	23.3
აზოტოვანი სასუქები	39.1	4.4	46.0	4.1	17.7
სპირტიანი სასმელები	30.0	3.4	35.8	3.2	19.1
თხილი და სხვა კაკალი	17.3	1.9	32.6	2.9	88.6
ტრიკოტაჟის ნაწარმი	14.9	1.7	29.0	2.6	94.3
ოქრო	36.9	4.2	24.7	2.2	-33.2
წყლები, მინერალურისა და დაგაზიანებულის ჩათვლით, შაქრის დანამატების შემცველობით	10.4	1.2	21.3	1.9	103.7
დანარჩენი საქონელი	256.1	28.8	325.0	28.9	26.9

*წინასწარი მონაცემები.

წყარო:

სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური;

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა";

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი";

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია".

გამოყენებული პირობითი აღნიშვნები:

- მოვლენა არ არსებობს;

* მონაცემები წინასწარია და ექვემდებარება დაზუსტებას ინფორმაციულ წყაროებში და მეთოდოლოგიაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში;

... მონაცემები კონფიდენციალურია.

0.0 მაჩვენებლის სიდიდე უმნიშვნელოა

შენიშვნა:

1. ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით;

2. ინფორმაცია არ მოიცავს გამარტივებული საბაჟო დეკლარაციების (ფორმა №4) მონაცემებს;

3. ინფორმაცია არ მოიცავს არაორგანიზებულ ვაჭრობას; ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებულ ტერიტორიებს;

4. საერთაშორისო მეთოდოლოგიების შესაბამისად საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა და საბაჟო სტატისტიკა განსხვავებულად ახდენს სასაქონლო ნაკადების მოცვას. კერძოდ საგარეო ვაჭრობის სტატისტიკაში არ აისახება დროებითი დიპლომატიური სატრანზიტო და სხვა ანალოგიური სახის ტვირთები.

წინასწარი მონაცემების კორექტირება ხორციელდება საქსტატის მიერ შემუშავებული სტატისტიკური ინფორმაციის გადასინჯვის პოლიტიკის შესაბამისად (რეგულარული გადასინჯვის პრინციპის საფუძველზე) რესპონდენტების/ ადმინისტრაციული წყაროების მიერ მონაცემების დაზუსტების შედეგად.

ადგილობრივი ექსპორტი მოიცავს როგორც ქვეყანაში წარმოებული, ისე საზღვარგარეთიდან იმპორტირებული იმ საქონლის ექსპორტს, რომელმაც განიცადა არსებითი სახეცვლილება ან ქვეყნის ფარგლებში გადამუშავების შედეგად მოხდა მისი ღირებულების მნიშვნელოვანი ზრდა.

საკონტაქტო პირები:
მაკა კალანდარიშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (300)
E-mail: mkalandarishvili@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020)
E-mail: mkavelashvili@geostat.ge